ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲛᲔᲐᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

№ 296 (11602)
ᲥᲕᲘᲠᲐ
20
ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ
1959 Წ.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოიწვიოს სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1960 წლის 14 იანვარს ქალაქ მოსკოვში.

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

მოსკოვი, კრემლი. 1959 წლის 18 დეკემბერი.

ᲡᲙᲙᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ!

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

— დღემდე, როგორც ზღაპარზე, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რასაც ჩვენი ბავშვები იხილავენ, მაგრამ ახლა, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ სოციალისტური საზოგადოების შენობა, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საძირკველი — უტოპია როდია.

ეს სიტყვები ეკუთვნის საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს ვ. ი. ლენინს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე წლებში მშრომელთა გულის მესაიდუმლეს წარმოდგენილი ჰქონდა, რა მომხიბლავი გახდებოდა სოციალისტური საზოგადოების ეს შენობა. მას შემდეგ ორმოცდაერთი წელიც არ შესრულებულა, და აჰა, შეხედეთ, რაოდენ დიდებული და მშვენიერია ის ხელთუქმნელი შენობა, რომელსაც დიდმა ლენინმა ჩაუყარა საძირკველი.

ვ. ი. ლენინს არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, მაგრამ მისმა ერთგულმა მოწაფეებმა წინ წასწიეს ბრძენი ბელადის საქმე, ხორცი შეასხეს მის უკვდავ იდეებს.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ედგა დიდი მარქსისტ-ლენინელი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე რევოლუციონერი და დიდი თეორეტიკოსი ი. ბ. სტალინი, რომელსაც მაღლა ეჭირა მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშა.

„როგორც ერთგული მარქსისტ-ლენინელი და მტკიცე რევოლუციონერი, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — სტალინი ჯეროვან ადგილს დაიკავებს ისტორიაში. ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხალხს ეხსომებათ სტალინი და ჯეროვან პატივს სცემენ მას“.

ი. ბ. სტალინის დაბადების დღე აღინიშნება ისეთ ვითარებაში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან მოდის აღმაფრთოვანებელი ცნობები:

— შვიდწლედის პირველი ზღუდე აღებულია! — უპატაკებენ დედა-სამშობლოს ფაბრიკები და ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რაიონები და ქალაქები, ოლქები და რესპუბლიკები.

სოციალისტური სოფლის მშრომელები თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს, რომელიც ამ დღეებში მუშაობას იწყებს ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში.

მომძე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად დამსახურებულად ამაყობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც, რომლებიც წარმატებით ამთავრებენ შვიდწლედის პირველ წელს. საქართველოს მეჩაიეებმა 140 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცეს ქვეყანას. გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები. მწყობრში დგას ამიერკავკასიაში პირველი ატომური რეაქტორი, რესპუბლიკის დედაქალაქში აინთო ბუნებრივი გაზის ჩირაღდანი. სამშობლოს გამარჯვება უპატაკეს თბილისის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოებმა.

კარგი იყო შვიდწლედის პირველი წელი. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა დიდი ძალა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილ დროშას, რომელიც ასე ამაყად ფრიალებს მსოფლიოს სივრცეებზე. შვიდწლედის პირველმა წელმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვებები მოუტანა გმირ საბჭოთა ხალხს, რომელსაც სათავეში უდგას დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია. საბჭოთა მეცნიერებმა, ტექნიკოსებმა, მუშებმა მსოფლიო გააოცეს. მათ მიერ გაშვებულმა რაკეტამ მთვარეზე მიიტანა ჩაქუჩ-ნამგლიანი ვიმპელი, როგორც ჩვენი ქვეყნის დიდების სიმბოლო. ატომი აძლევს უშრეტ ენერგიას ყინულმჭრელ „ლენინს“.

1959 წელი ისტორიაში შევა როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში დიადი გარდატეხის წელი, მთელი მსოფლიოს მშვიდობისაკენ მობრუნების წელი. ამ მხრივ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

და თუ ახლა იმპერიალისტური სამყაროს ყველაზე რეაქციულ წრეებშიც სულ უფრო ნაკლებად ლაპარაკობენ ომის შესაძლებლობის შესახებ, ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს — ჩვენს კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მაღლა უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშა და, როგორც ბრძენი მესაჭე, გენიალურად წარმართავს დიდებამოსილ სახელმწიფო ხომალდს.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნიზმის ეაშლილი შენებლობის პერიოდში, დასახულია და წარმატებით ხორციელდება გიგანტური შვიდწლედი, რომელიც მკვეთრად გვიმოკლებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა მიმდინარე შვიდწლედს გადამწყვეტი ზღვარი უწოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების გზაზე. როცა ამ ზღვარს გადავლახავთ და გაშლილ პლატოზე გადავალთ, მაშინ უფრო ადვილი იქნება წინსვლა. ყოველივე ეს შეგნებული აქვს ჩვენს ხალხს. აი რატომ არის, რომ ამ ზღვარის გადასალახავად მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია დაძაბული შემოქმედებითი შრომა, შრომა, რომელიც აღამაღლებს, სულიერ კმაყოფილებას ჰბერავს და კეთილშობილს ხდის საბჭოთა ადამიანს.

პარტია აღაფრთოვანებს და ძალას მატებს საბჭოთა ადამიანებს. იგი ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით საბჭოთა ხომალდი წარმატებით გაიკაფავს გზას აღთქმული სამყაროსაკენ — კომუნიზმისაკენ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲡ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის, 1959 წელს ახალი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში და ვადამდე შეასრულეს ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის დამზადების სახელმწიფო გეგმები.

ა. წ. 10 დეკემბრისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 5,7 ათასი ტონით, ანუ 15 პროცენტით მეტი ხორცი, 10 ათასი ტონით, ანუ 10 პროცენტით მეტი რძე, 3.048 ცენტნერით, ანუ 8 პროცენტით მეტი მატყლი და 9 მილიონი ცალით, ანუ 18 პროცენტით მეტი კვერცხი.

მიმდინარე წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის დამზადებულია 2 მილიონამდე ტონა სილოსი, ანუ 11 ტონა საშუალოდ თითო ძროხაზე.

ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ... ᲡᲐᲥᲛᲔ

სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 262 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვთ. წელს ინგირელებმა მოკრიფეს 1.012 ტონა ჩაის ფოთოლი და ამით მოსავლიანობის გეგმას 212 ტონით გადაჭარბეს. საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 4.750 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ცხადია, ასეთი მაჩვენებელი კარგია. მაგრამ შეძლებოდა თუ არა მეტი ჩაის ფოთოლი მიეღოთ? დიახ, შეძლებოდა.

რამ შეუშალა ხელი? ზოგან ჩაის პლანტაცია მეჩხერია და რატომღაც არ ზრუნავენ მის შესავსებად. ამაზე ჩვენ, კომკავშირელებმა, მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ სპეციალისტებთან ერთად შეგვესწავლა მეჩხერი პლანტაციები. გამოირკვა, რომ 20 ჰექტარი ფართობი ყოველწლიურად ცდება. ამით კოლმეურნეობა ყოველწლიურად დაახლოებით 90 ათას კილოგრამ ჩაის ნედლეულს კარგავს.

ამიტომ იყო, რომ ამ დღეებში ღია კომკავშირულ კრებაზე გადავწყვიტეთ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძალებით შეხავსებულ კოშტებში გამოვიყვანოთ 180 ათასი ჩაის ნერგი, ხოლო 1961 წელს—200 ათასი ნერგი და დავრგოთ მეჩხერ ადგილებში.

კოლმეურნეობაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძალებით შექმნა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც უკვე შეუდგნენ ნერგების გამოსაყვანად სამუშაო ფარდულების მოწყობას, სანერგე ფართობის მომზადებას. კომკავშირელებმა ბ. ყალიჩავამ, შ. გაბელიამ, ნ. არახანიამ, მ. წერწუმიამ ვალდებულება იკისრეს გამოიყვანონ ხუთ-ხუთი ათასი ძირი ჩაის ნერგი.

ამჟამად ხალისიანად ვასრულებთ აგრეთვე ჩაის საზამთრო სამუშაოებს. დასასრულს უახლოვდება სადრენაჟო ქსელის წესრიგში მოყვანა, პლანტაციებში შეგვაქვს სასუქი.

ს. ᲧᲐᲛᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

140 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘ — ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ,

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲛᲔᲢᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ!

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. საოლმეურნეო მინდვრებში დაძაბული შრომის დღეებია. კოლმეურნეები თავს დასტრიალებენ ჩაის პლანტაციებს, აჭედან უყრიან საფუძველს 1960 წლის უხვ მოსავალს.

დაწინაურდა სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ პირობა ჰქონდათ დადებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ღირსეულად შეხვედრის მიზნით ჩაის ახალი პლანტაცია გაეშენებინათ 5 ჰექტარზე. გადვებულების შესასრულებლად კოლმეურნეებმა თავდადებულად იმუშავეს და ვადაზე ადრე გაანაღდეს პირობა. ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების გეგმა შესასრულეს აგრეთვე სოფლების უშაფათის, ფოცხოს კოლმეურნეობებმა. რაიონში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის გადაბარვა. მარტო გუშინ რაიონში ჩაის ახალი პლანტაცია გაშენდა 11 ჰექტარზე, ხოლო ნიადაგი დამუშავდა 45 ჰექტარზე.

ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს მუშაობა მეჩხერი ჩაის პლანტაციებისათვის ნერგების გამოსაყვანად. ამ სამუშაოებს სათავეში ჩაუდგნენ რაიონის კომკავშირელები და ახალგაზრდობა. შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებსაც დავალებული აქვს შეხავსებულ კოშტებში გამოიყვანონ ჩაის ნერგები. 1960 წელს ჩაის ახალ პლანტაციას გაეშენებენ 38 ჰექტარს, ხოლო 1961 წელს — 90 ჰექტარს.

ᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ყოველდღე ბეჯითი შრომაა გაჩაღებული ჩაის პლანტაციებში. ნიადაგის დამუშავებასთან ერთად შეაქვთ ფოსფორიტი და კალიუმის სასუქები. სოფელ გოჩა ჯიხაიშის კოლმეურნეობამ რაიონში ყველაზე ადრე შეასრულა პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადგის გადაბარვა და საძრენაჟო არხების წესრიგში მოყვანა.

გოჩაჯიხაიშელები ყოველთვის ქებით იხსენიებენ თანასოფლელს გალინა ქაშიბაძეს. მან წელს 0,4 ჰექტარზე მიიღო 3.400 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით მოსავლიანობის გეგმას 2.200 კილოგრამით გადაჭარბა, ანუ იგი 4 ათასი კილოგრამი ჩაისათვის იბრძვის. ჩაის უხვი მოსავლის მოყვანით სახელი გაითქვა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ინგა საღარაძემ. მან წელს სოფელ წულუკიძის სტერუას სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის მოსავლიანობის გეგმა ორმაგად გაანაღდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ წითელი ვარსკვლავის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის გადაბარვა უნდა ეწარმოებინათ 40 ჰექტარზე, ფაქტიურად ეს სამუშაო უკვე გაანაღდეს.

ᲕᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐ. ამ დღეებში ვალენჯიხელი კომკავშირელები და ახალგაზრდობა გულდასმით გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პატრიოტულ თაოსნობას ჩაის პლანტაციებში სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. ამ შესანიშნავი თაოსნობის პასუხად ვალენჯიხელებმა იკისრეს მეჩხერი ჩაის პლანტაციების რემონტისათვის გამოიყვანონ ჩაის ნერგები და 1960 წელს გადარგვით გაიშენონ 15 ჰექტარი პლანტაცია. უკვე შეუდგნენ სანერგე ნიადაგის მომზადებას.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში შეუფერხებლად მიმდინარეობს აგრეთვე პლანტაციებში ნიადაგის დამუშავება. ვალენჯიხის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მოწინავე მერგოლურმა ც. კვარაცხელიამ უკვე შესრულა მოსავლელად მიჩენილი 0,7 ჰექტარზე ჩაის პლანტაციების ნიადაგის გადაბარვა, საკმაო რაოდენობით შეიტანა ფოსფორიტი და კალიუმის სასუქები. შვიდწლედის მეორე წელს იგი 0,7 ჰექტარზე 11 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეულს გვპირდება ნაცვლად წელს მიღებული 10.400 კილოგრამისა. მარჯვენას ყველა უქებს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მერგოლურს სოფიო შონიას. მან პირადად 0,7 ჰექტარზე მიიღო 8.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 1960 წელს 9 ათასი კილოგრამი ჩაი! — ასეთია მისი პირობა. გუშინ ამს. შონიამ ჩაის პლანტაციებში სადრენაჟო არხების გაწმენდის დავალება ორმაგად შეასრულა. (ტელეფონით. „კომუნისტის“ კორ.).

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ

დამთავრდა დარკვეთი-საჩხერის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობა. ვისაც ჭიათურაში უმგზავრია, კარგად ახსოვს, რა გაჭირვებით მიაგორებდნენ პატარა ორთქლმავლები რამდენიმე ვაგონს. საათები ზღდებოდა ორმოცოდე კილომეტრის გავლას.

მეტად ძნელი იყო ათასობით ტონა მარგანეცის გამოტანა ასეთი ტრანსპორტით. მით უმეტეს, როცა მარგანეცის ამოღება ყოველწლიურად იზრდებოდა. გადაწყდა ჭიათურამდე აშენებულიყო ფართოლიანდაგიანი ელექტროფიცირებული რკინიგზა. მშენებლებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ რთულ ამოცანას და 1957 წელს ჭიათურაში შევიდა პირველი ელმავალი.

გასაყვანი დარჩა ერთი პატარა უბანი — დარკვეთი-საჩხერე, სადაც კვლავ პატარა მატარებლები მიმოდიოდნენ. მიმდინარე წლის იანვარში აქაც დაიწყო მუშაობა ფართოლიანდაგიანი რკინიგზის გასაყვანად. მშენებლებს მოუხდათ ხიდების, საყრდენი კედლების აშენება. შესრულდა 225 ათასამდე კუბმეტრი მიწისა და ბეტონის სამუშაოები.

დღეს საჩხერეში შავა პირველი ელმავალი. მშენებლებს შეუძლიათ იამაყონ ამ გამარჯვებით. ისინი პირნათლად ხვდებიან ახალ წელს, შვიდწლედის მეორე წელს.

ᲗᲐᲦᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა 17 დეკემბერს შეასრულა შვიდწლედის პირველი წლის დავალება, გამოუშვა 208.113 ათასი მანეთის ფეხსაცმელი. წლის ბოლომდე ფაბრიკის კოლექტივი ათასობით წყვილ ზეგეგმით ფეხსაცმელს მისცემს სამშობლოს.

* * *

სასახელო მიღწევებით ამთავრებს მიმდინარე წელს მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. მკერავებმა 16 დეკემბერს ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით გაანაღდეს წლიური გეგმა, ამასთან მნიშვნელოვნად გაადიდეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, 4,8 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 6.500 ცალი კოსტიუმი.

* * *

ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ დამხმარე საწარმოების კომბინატმა 8 დეკემბერს გაანაღდა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1.700 ათასი მანეთის პროდუქცია.

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ

შვიდწლედის პირველი წლის დავალების ვადამდე შესრულებაში დაწინაურდა ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი. ფაბრიკამ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 12.500 კვ. მეტრი ხალიჩა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით შვიდწლედის ფონდში გადარიცხულია 225 ათასი მანეთი.

გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელა მ. ტყეიბუჩავამ კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელმაც წლიური გეგმა პირველი ნოემბრისათვის შეასრულა და აპყამად 1960 წლის ანგარიშში მუშაობს.

ზღვისპირა სოფელია ჩაისუბანი. არც ისე დიდია, მაგრამ მოსავლის სიუხვით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ქობულეთის რაიონში. ძირითადად ჩაი და ციტრუსებია ამ სოფლის შემოსავლის წყარო. ამას ემატება ტუნგოს ნაყოფიც, რომელიც კიდევ უფრო ზრდის კოლმეურნეთა საერთო დოვლათს.

აი ეს გოგონა მეხუთე თვეა ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე პლანტაციას მიაშურა და ახლა 220 შრომადღე აქვს გამომუშავებული. ხალისით კრეფდა ჩაის ფოთოლს, შემდეგ ციტრუსებს და როცა ტუნგოს ნაყოფის კრეფის დრო დადგა, პირველი ჩაება ძვირფასი ზეთოვანი კულტურის მოსავლის აღებაში მოწინავე კოლმეურნე ქალიშვილი ნათელა აბაშიძე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲜ: ნათელა აბაშიძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროსა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გაგზავნილ მისალმებაში გულითადად ულოცავენ რუსეთის ფედერაციის ყველა მშრომელს ახალ წარმატებებს, რომლებიც რესპუბლიკამ შვიდწლედის პირველ წელს მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის გეგმების ვადამდე შესრულებას.

1959 წელს რუსეთის სფსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1 მილიარდ 643 მილიონი ფუთი მარცვლეული, ანუ ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე მზადდებოდა პური ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამდე, აქედან — ერთ მილიარდ ფუთზე მეტი ხორბალი.

რუსეთის ფედერაციის ყველა ოლქმა, მხარემ და ავტონომიურმა რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა. მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხორცის წარმოება გადიდდა 857 ათასი ტონით, ანუ 35 პროცენტით, რძისა — 1.882 ათასი ტონით, ანუ 13 პროცენტით, მატყლისა—163 ათასი ცენტნერით, ანუ 15 პროცენტით, კვერცხისა — 514 მილიონი ცალით, ანუ 27 პროცენტით. სახელმწიფოს მიეყიდა 1183 ათასი ტონით მეტი ხორცი, 1620 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე შარშან ამ ხნის განმავლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში განსაკუთრებით აღნიშნულია რიაზანის ოლქის მშრომელთა შესანიშნავი წარმატებები, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის 150 ათასი ტონა, ანუ შარშანდელზე 3-ჯერ მეტი ხორცის მიყიდვის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მშრომელნი ორ დაიშურებენ ძალღონეს, რათა მიაღწიონ ახალ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და შექმნან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე ჩვენი ხალხისათვის, ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ.Ს. Ა. ᲗᲝᲕᲛᲐᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ს. ა. თოვმასიანის დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების გამო, დაჯილდოვდეს ამხ. სურენ აკოპის-ძე **თოვმასიანი ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

მოსკოვი, კრემლი. 1959 წლის 19 დეკემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Დ. Ნ. ᲨᲕᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ

მუსიკალური ხელოვნების დარგში მოღვაწეობის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი დიმიტრი ნიკოლოზის-ძე შვედოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Გ. ᲥᲝᲩᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თბილისი, 1959 წლის 19 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მარქსისტი-ლენინელი

ი. ბ. სტალინის დაბადების 80 წლისთავი

შესრულდა 80 წელი დიდი მარქსისტ-ლენინელისა და რევოლუციონერის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ი. ბ. სტალინის დაბადებიდან.

ი. ბ. სტალინი რევოლუციური მოღვაწეობის სარბიელზე 90-იანი წლების დამლევს გამოვიდა. თბილისის რკინიგზის სახელოსნოებს მოწახავე მუშათა წრეში, 1898 წელს მან მიიღო პრაქტიკული მუშაობის პირველი გაკვეთილები და თავისი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. თბილისელ მუშათა წრეში სტალინი რევოლუციის შეგირდი გახდა.

ი. ბ. სტალინის რევოლუციური საქმიანობა ვ. ი. ლენინის მოღვაწეობით იყო შთაგონებული. ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის გაცნობამ 90-იანი წლების დამლევიდან, განსაკუთრებით კი „ისკრის“ პერიოდში, დაარწმუნა სტალინი, რომ ლენინი „უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უკვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი“.

ეს წარუზოცელი შთაბეჭდილება სტალინს ღრმად ჩარჩა გულში და თან სდევდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

თბილისში მოღვაწეობის პერიოდში სტალინი სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად წარმართავს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობას და ანტიმარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში მხურვალედ იცავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითად პრინციპებს.

უკვე 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ქართველი ბოლშევიკები სტალინს თავის აღიარებულ ხელმძღვანელად თვლიან. 1906 წელს ერთ-ერთი ქართველი ბოლშევიკი თავის ერთ კერძო წერილში, რომელიც ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელში, აღფრთოვანებით ლაპარაკობს რა სტალინზე, აცხადებს, რომ დარწმუნებული ლენინელია და სულითა და გულით უსურვებს წარმატებას ქართველი ბოლშევიკების ლიდერს კობას.

1907 წელს, პარტიის V ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ, სტალინი პარტიის ნებით სამუშაოდ ბაქოში გადადის. ერთი მხრივ მოწინავე მუშებთან ურთიერთობით, ხოლო მეორე მხრივ ნავთის მრეწველთა და მუშათა მწვავე ბრძოლაში სტალინი გამოიწრთო როგორც მებრძოლი და გახდა ერთ-ერთი პრაქტიკული ადგილობრივი ხელმძღვანელი. ეს იყო მისი მეორე რევოლუციური ნათლობა, რომლის შედეგად იგი რევოლუციის ქარგალი გახდა.

ვ. ი. ლენინმა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში თეორიულად დაამუშავა რთული იდეოლოგიური, პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხები და ბოლშევიკების მუშაობა წარმართა მათი განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ოქტომბრამდელი პერიოდის არალეგალური მოღვაწეობის მძიმე პირობებში ი. ბ. სტალინი იყო ის გამოჩენილ პროფესიონალ რევოლუციონერთა შორის, რომლებიც მხურვალედ იცავდნენ ლენინურ შეხედულებებს და მტკიცედ ატარებდნენ მათ ცხოვრებაში.

თებერვლის რევოლუცია უდიდესი მობრუნება იყო ჩვენი ხალხისა და პარტიის ისტორიაში. ორხელისუფლებიანობის პირობებში შეიქმნა სრულიად ახალი ვითარება, რომელიც პარტიისაგან მოითხოვდა ახალ ორიენტაციას, ახალ სტრატეგიასა და ტაქტიკას. ლენინს განთქმულ ათრიცის თეზისებში და სრულიად რუსეთის VII კონფერენციის გადაწყვეტილებებში დასახული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ნათელი გზა.

ამ დროს სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ახალი ხანა იწყება. იქ, პეტერბურგის მუშათა წრეში, ლენინის ხელმძღვანელობით, სტალინმა მიიღო თავისი მესამე რევოლუციური ნათლობა და გახდა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი.

„მაგრდება 1917 წელი, — ამბობდა სტალინი, — როცა მე, საყრობილეებსა და გადასახლებაში ყოფნის შემდეგ, პარტიის ნებით გავიგზავნე ლენინგრადში. იქ, რუსი მუშების წრეში, ყველა ქვეყნის პროლეტართა დიდ მასწავლებელთან ამბ. ლენინთან უშუალოდ ახლო მყოფმა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის უდიდეს შეჯახებათა ქარცშალში, იმპერიალისტური ომის ვითარებაში, მე პირველად ვისწავლე იმის გაგება, თუ რას ნიშნავს იყო მუშათა კლასის დიდი პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იქ, რუსეთის მუშათა — ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელთა და ყველა ქვეყნისა და ხალხის პროლეტარული ბრძოლის მოთავეთა წრეში, მივიღე მე ჩემი მესამე საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. იქ, რუსეთში, ლენინის ხელმძღვანელობით, გავხდი მე რევოლუციის ერთ-ერთი ოსტატი“.

1917 წლის ოქტომბერში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის მეთაურობით, განახორციელა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რითაც მოახდინა ძირეული მობრუნება კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველი კაპიტალისტური სამყაროდან ახალი სოციალისტური სამყაროსაკენ.

ოქტომბრის რევოლუცია დიადი ზღვარია ჩვენი ხალხისა და პარტიის ისტორიაში. დამთავრდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა და დასაწყისი მიეცა სოციალიზმის აშენებისათვის პარტიის შემოქმედებითს მოღვაწეობას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კომუნისტური პარტია ექსპლოატატორული წყობილების დამხობის ძალიდან გადაიქცა ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ძალად.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მეცნიერება სოციალიზმის მშენებლობის შესახებ, დასახა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების გეგმა.

ეს იყო ლენინის პოლიტიკური ანდერძი, მის მიერ შემუშავებული სოციალიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, რომელმაც ალაფრთოვანა მშრომელი მასები შრომითი გმირობისათვის, კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვების მოსაოვებლად.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც სათავეში ი. ბ. სტალინი ედგა, უდიდესი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეიარაღებულმა, განსადგურა გამცემლები და კაპიტულანტები (ტროცკისტები, ბუხარინელები, ნაციონალისტები), დაიცვა ლენინიზმი და მტკიცედ დაადგა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინურ გზას.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხი ძირითადი და ყველაზე მწვავე საკითხი იყო მაშინ. ოპორტუნისტები, რომელთა შორის წამყვან როლს ტროცკისტები ასრულებდნენ, გაფთრებით ილაშქრებდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის ლენინური თეორიის წინააღმდეგ. ისინი ურწმენობას თესავდნენ და ცდილობდნენ ქვეყანა ლენინური გზიდან გადაეცდინათ.

ამ კაპიტულანტებისა და გამცემლების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ი. ბ. სტალინი. მან იდეურად განაიარაღა ოპორტუნისტები და დაიცვა ლენინიზმი. სტალინმა თავის შრომებში ოსტატურად გეიჩვენა ის ახალი, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზმის საერთო საგანძურში. მან მოგვცა ლენინიზმის ძალიან ფართო, ამომწურავი განსაზღვრა და მოკლედ და ამაფიოდ გადმოსცა ლენინიზმის, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმის, პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის, პროლეტარიატის დიქტატურის თეორიისა და ტაქტიკის ძირითადი საკითხები.

ი. ბ. სტალინის შრომებს არა მარტო ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ ისინი შესანიშნავად იცავდნენ ლენინის მოძღვრებას, არამედ ისიც, რომ ეს შრომები განუმტკიცებდნენ მუშათა კლასს, მშრომელ მასებს იმის რწმენას, რომ მათ შეუძლიათ საკუთარი ძალებით ააშენონ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში.

ი. ბ. სტალინმა დაიცვა და განავითარა ლენინური მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ და სათავეში ჩაუდგა მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ, ლენინური გენერალური ხაზის შეუდრეკელი დაცვით, მასებისადმი უნარიანი ხელმძღვანელობით და მოქნილი საგარეო პოლიტიკით, ორი სისტემის თანაარსებობის ლენინური პრინციპის განუხრელად გატარებით, წარმატებით გადაჭრა სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანები. მოამზადა და განახორციელა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, უზრუნველყო ქვეყანის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის გამარჯვება, განახორციელა ლენინური კოოპერაციული გეგმა, მოახდინა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, შექმნა სოციალისტური ეკონომიკა.

ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს, — ამბობდა სტალინი, — ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ. ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ.

და პარტიაც თითქოს მიერეკებოდა ჩვენს ქვეყანას და აჩქარებდა მის სრბოლას წინ. პარტია ატარებდა უარღესად სწრაფი ტემპის პოლიტიკას. მას არ ჰქონდა ლოდინის საშუალება, რაკი ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თავდასხმა.

მართლაც, ომამდელი ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა ხალხს მოახდინა ისტორიული გარდაქმნა — ნახტომი, რომლის მეოხებითაც ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიის, განვითარებული სოფლის მეურნეობისა და კულტურის ქვეყნად იქცა. კომუნისტური პარტიის თეორიული მოღვაწეობისა და პრაქტიკული ბრძოლის შედეგად გადაიჭრა უდიდესი სოციალური პრობლემა — შეიქმნა კაცობრობის ისტორიაში პირველი სოციალისტური საზოგადოება. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მეორე უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო სოციალიზმის აშენება საბჭოთა კავშირში. სოციალიზმის აშენება კაპიტალისტურ გარემოცვაში, როცა ჩვენს ქვეყანას ელოდა თავდასხმის მუდმივი საფრთხე, ჩვენი ხალხისა და ჩვენი პარტიის გაუგონარი გმირობა და სიბრძნე იყო.

ჩვენი ქვეყანა, როგორც ეს ი. ბ. სტალინმა 1939 წელს პარტიის XVIII ყრილობაზე განსაზღვრა, დაადგა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გზას.

მაგრამ მშვიდობიანი მშენებლობა შეწყვიტა ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ. სამამულო ომის მცელლობაში მთელი სიდიადით იჩინა თავი და მკაფიოდ გამოვლინდა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცე და სოციალისტურინარიანობა. საბჭოთა ხალხისა და მისი ჭითელი არმიის ძალა და უძლეველობა, კომუნისტური პარტიის ბრძნული, ნაცადი ხელმძღვანელობა. საბჭოთა ხალხის გამარჯვება დიდ სამამულო ომში მოპოვებულ იქნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ი. ბ. სტალინი ედგა.

საბჭოთა ხალხმა მოსისხლე მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში არა მარტო დაიცვა სოციალისტური მონაპოვარი, სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, არამედ დაეხმარა ევროპისა და აზიის ხალხებს იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებაში და იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია განადგურებისაგან. დიდ სამამულო ომში გამარჯვების გადამწყვეტი პირობა იყო პარტიის მონოლითური ერთიანობა და საბჭოთა ხალხის დარაზმულობა ლენინური დროშის ქვეშ.

როგორც მშვიდობიან მშენებლობაში, ისე სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებებმა ი. ბ. სტალინს, როგორც ხალხისა და პარტიის ხელმძღვანელს, მოუპოვა დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა, სიმპათია და მხარდაჭერა, საყოველთაო აღიარება. ხალხმა ყველა დიდი გამარჯვება მის სახელს დაუკავშირა.

ასეთ ვითარებაში თანდათანობით ჩამოყალიბდა სტალინის პიროვნების კულტი და თავი იჩინა მისმა მავნე შედეგებმა.

ი. ბ. სტალინის მოღვაწეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ასახავენ თავისი დროის დამახასიათებელ ნიშნებს. იგი გაპირობებულია გარკვეული ისტორიული ვითარებით. სტალინის მოღვაწეობა მიმდინარეობდა განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ პირობებში. ჩვენმა ქვეყანამ პირველმა გაკაფა გზა სოციალიზმისაკენ. მან პირველმა დაიწყო ამის პრაქტიკული განხორციელება, რაც მანამდე მხოლოდ ზოგადად, თეორიულად იყო ცნობილი. ჩვენ მივდიოდით უკვალ გზით. ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფ ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. სოციალისტური მშენებლობა წარმოებდა ეკონომიურად ჩამორჩენილ, ომებით გაჩანაგებულ ქვეყანაში. საერთაშორისო რეაქცია და მისი აგენტურა ქვეყნის შიგნით ყუმბარებსა და ტყვიებს გვაყრიდა. ასეთი რთული საერთაშორისო და საშინაო ვითარება მოითხოვდა რკინის დისციპლინას, განსაკუთრებულ ცენტრალიზაციას, დემოკრატიის ერთგვარ შეზღუდვას. ყოველივე ეს სტალინმა უკიდურესობამდე მიიყვანა იმით, რომ თავის ხელში მოიქცია განუზომელი ძალაუფლება, რომელსაც ყოველთვის საკმაო სიფრთხილით როდი იყენებდა. მან დაარღვია ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები. საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის პროცესში, ძიების დროს ბევრი იყო სიძველე, ადგილი ჰქონდა დარღვევებსა და შეცდომებს.

ი. ბ. სტალინი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მეთაური გახდა იმან, რომ ის იყო მუშათა საქმის უსაზღვროდ ერთგული, ნათელი გონებისა და რკინის ნებისყოფის დიდი თეორეტიკოსი და ორგანიზატორი. მაგრამ სტალინს ამავე დროს ჰქონდა პირადი, ინდივიდუალური ხასიათის უარყოფითი თვისებები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ლენინი აფრთხილებდა პარტიას.

პიროვნების კულტის პარტიული კრიტიკის მიზანს შეადგენს არა ის, რომ ხელოვნურად უარგვეყო სტალინის დიდი დამსახურება, არამედ პიროვნების კულტის მავნე შედეგების მოსპობა და იმის მტკიცე გარანტიის შექმნა, რომ არასოდეს არ წარმოიქმნას მსგავსი მოვლენები ჩვენს ქვეყანაში.

სტალინი ახლა ისტორიას ეკუთვნის. „როგორც ერთგული მარქსისტ-ლენინელი და მტკიცე რევოლუციონერი, სტალინი ჯეროვან ადგილს დაიკავებს ისტორიაში. ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს ეხსომებათ სტალინი და ჯეროვან პატივს სცემენ მას“ (ნ. ს. ხრუშჩოვი).

პარტიამ ამხილა კომუნიზმის მტრები, რომლებიც პიროვნების კულტის კრიტიკის საბაბით ცილს სწამებენ სტალინს და ყალბად, დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ კომუნისტური პარტიის საქმიანობის მთელ ისტორიულ პერიოდს, როცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ედგა ი. სტალინი.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ ლენინის სიტყვები: „დაე მომაკვდავი ბურჟუაზიის და მისი მაჩანჩალა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ქოფაკებმა და ღორებმა წყევლა-კრულვა, ლანძღვა-გინება, სიცილი დაგვაყარონ მარცხისა და შეცდომებისათვის ჩვენ მიერ ჩვენი საბჭოთა წყობილების შენების დროს. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ იმას, რომ მარცხი და შეცდომები მართლაც ბევრი გვქონდა და ახლაც გვაქვს, როგორ შეიძლება მარცხსა და შეცდომებს ასცდე ისეთ ახალ, მთელი მსოფლიო ისტორიისათვის ახალ საქმეში, როგორიცაა ჯერ უნახავი ტიპის სახელმწიფო წყობილების შექმნა! ჩვენ განუხრელად ვიბრძოლებთ ჩვენი მარცხისა და შეცდომების გამოსასწორებლად... მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, რომ წლად გვხვდა ბედნიერება **დაგვიწყო** საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, **დაგვიწყო** ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, **ახალი** კლასის ბატონობის ეპოქა“.

ამ დღეებში ყოველი საბჭოთა ადამიანი გონების თვალს, რომ გაადევნებს სოციალისტური მშენებლობის განელილ გზას, ნათლად წარმოიდგენს იმას, თუ რა ვიყავით და რა გავხდით და სიამაყის გრძნობით აღევსება ყოველი თავისი ხალხისა და პარტიისათვის.

რა ვიყავით ოთხი ათეული წლის წინათ? მოწინავე ქვეყნებს დიდად ჩამორჩენილი, მსოფლიო ომითა და სამოქალაქო ომით გაჩანაგებული ქვეყანა. ეს ის დრო იყო, როცა შრომისა და თავდაცვის საბჭო ლენინის თავმჯდომარეობით პირველი ელექტროსადგურების მშენებლობის საკითხებთან ერთად განიხილავდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის ნატეხს, რომ არაფერი ვთქვათ კვების სხვა პროდუქტებზე. მაშინ საუკეთესოდ სთვლიდნენ იმ ფეხებს, რომელსაც მოსახერხებელი ხდებოდა მერვედი გირვანქა შავი პურის მიცემა ლენინგრადისა და მოსკოვის მუშებისათვის, ისიც სანახევროდ კოპტონიანისა, და ასე გრძელდებოდა მთელი ორი წელი. ასეთი იყო მდგომარეობა ოთხი ათეული წლის წინათ. ახლა კი ჩვენი ქვეყანა უძლიერესი ქვეყანაა. მან პირველმა ააშენა ელექტროსადგური ატომური ენერგიით და ჩააყენა მწყობრში ატომური ყინულმჭრელი. პირველმა გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი და გაგზავნა რაკეტა მთვარეზე.

და ეს გიგანტური ნახტომი ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ განხორციელდა რაღაც სულ ოთხიოდე ათეული წლის მანძილზე, რომლიდანაც თითქმის ნახევარი, 18 წელი, ომსა და ომით დანგრეულის აღდგენას დახარჯდა.

ჩვენი ქვეყანა შეეჯიბრა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში პარტიის ისტორიულ XXI ყრილობაზე შეჯამებულია საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებანი, განსაზღვრულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები და გაშუქებულია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის თეორიული პრობლემები. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების შუქით არის გასხივოსნებული საბჭოთა ხალხის გზა კომუნიზმისაკენ.

მარქსმა წამოაყენა განთქმული თეზისი: დღემდე სამყაროს ხსნიდნენ, საქმე კი მისი შეცვლაა.

კომუნისტურმა პარტიამ მარქსის ეს ისტორიული დებულება თეორიის სფეროდან პრაქტიკის სფეროში გადაიტანა და სათავეში ჩაუდგა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლას. მრავალი საუკუნეა, რაც კაცობრიობა კომუნიზმზე ოცნებობს. მაგრამ იგი ოცნებად რჩებოდა. ახლა იგი სინამდვილად იქცევა. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმისაკენ მიემართება.

ლ. გორგილაძე.

საღაც დაირნა მისი აკვანი

ეს რამდენიმე წელიწადია, ყოველთვის, დეკემბრის შუა რიცხვებში ვორში ვხვდები ერთ ჩემს დიდი ხნის ნაცნობს — ფლაველ კოლმეურნეს დავით მახნიაშვილს. მართალია, მახნიაშვილი სხვა დროსაც ჩამოდის ხოლმე ქალაქში, მაგრამ ამ დღეებში, დეკემბრის სუსხიან თუ ზამთრის მზიან დღეს, იგი აუცილებლად გაჩნდება ხოლმე გორში. მოილეგს თავის საქმეებს და მიაშურებს იმ ადგილს, რომელსაც ხალხში გორის გულს ეძახიან. ეს გული კი ერთი პატარა სახლია —ძველთაძველი გორის ციხის ნანგრევებს რომ შეჰკედლებია. აქ 1879 წელს დაიბადა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

შუახანს გადაცილებული კოლმეურნე იმ პატარა სახლის წინ ჩერდება, ქუდს მოიხდის და ათვალიერებს ოთახს, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ი. ბ. სტალინმა. მერე ახლად ნაშენი მონუმენტური შენობისაკენ გაემართება, შეაღებს მუზეუმის კარს, მოწიწებით ადის მარმარილოს კიბეზე და ჩერდება სტალინის ქანდაკების წინ, რომლის ზემოთ წითელ ატლასზე გამოყვანილია ოქროსფერი ასოები:

„რაც შემეხება მე, მე მხოლოდ ლენინის მოწაფე ვარ, და ჩემი მიზანია ვიყო მისი ღირსეული მოწაფე. ი. ბ. სტალინი“.

ვინ იცის, იგი თავის სიცოცხლეში მერამდენჯერ ათვალიერებს ამ ძვირფას ექსპონატებს. მის წინაშე კიდევ ერთხელ აღსდგება დიდი ადამიანის დიდი ცხოვრება. ეამაყება ფლაველ კოლმეურნეს: ეს ცხოვრება განელო ადამიანმა, რომელმაც აქ, ამ მიწაზე, ამ პატარა ქალაქში აიდგა ფეხი. აქ ადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა მიიყვანეს გორელი ყმაწვილი დიდ ლენინთან.

ლენინი! აი ისიც — გორელი კოლმეურნის მკერდზე ბრწყინავს ორდენი, რომელზეც გამოკვეთილია ძვირფასი სახე და ძვირფასი სიტყვა „ლენინი“. ამ ორი ადამიანის სახელები, მათი ცხოვრება, მათი საქმეები კოლმეურნისათვის განუყოფელი და ერთიანია.

ჩვენ დიდხანს დავდივართ დარბაზებში, ვსაუბრობთ და ისევ ვათვალიერებთ ექსპონატებს. საერთოდ მშვიდი, დინჯი მახნიაშვილი მუზეუმში აღელვებულია ხოლმე. ალბათ, გრძნობებს ვერ იტევს, წარსულ რევოლუციურ ცხოვრებას, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველ სიძნელეებს ივონებს... იგი განსაკუთრებული სიამაყით ლაპარაკობს თავის სოფელზე, თავისი კოლმეურნეობის შრომითს გამარჯვებებზე.

— შვიდწლედის პირველ წელს, — გვიამბობს მახნიაშვილი, — ჩვენი კოლმეურნეობა წარმატებით ამთავრებს, ახალი შრომითი გამარჯვებებით ხვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს. გადამეტებით არის შესრულებული ხილის, შაქრის ჭარხლის, სიმინდის, ბოსტნეულის მოსავლიანობისა და წველადობის წლიური გეგმები. სახელმწიფოს შარშანდელთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქტები ერთიორად მეტი მიეყიდა. უკანასკნელ წლებში ჩვენი სასოფლო-სამეურნეო არტელი ეკონომიურად გაძლიერდა და სოფელი მოღონიერდა.

ფლაველი კოლმეურნეები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობა, საამურად ცხოვრობენ. ყოველივე ის, რაც ჩვენში საუკეთესო და ძვირფასია, კომუნისტური პარტიის სახელთან არის დაკავშირებული, პარტიისა, რომელიც შექმნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, რომლის საქმესაც მოახმარა მთელი თავისი ცხოვრება ი. ბ. სტალინმა.

ფლაველი კოლმეურნის დავით მახნიაშვილის ამ სიტყვებში გამოხატულია მთელი ჩვენი კოლმეურნე გლეხობის, ყველა მშრომელის გულწრფელი სიყვარული და დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

* * *

სტუმართმოყვარე გორში მუდამ მრავლად არიან ჩამოსულები. არ წყდება მათი დენა სტალინის ისტორიულ მუზეუმში. მარტო მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში აქ ათასზე მეტი უცხოელი სტუმარი იყო. მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა გულის სიღრმიდან მომდინარე ამადელვებელი სიტყვებით.

ი. ბ. სტალინის სახლისა და მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გერმანინის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერლებმა ბრუნო ანიტცმა, ვალტერ რადეტცმა, იური ვუიეშმა შთაბეჭდილებათა წიგნში გააკეთეს ჩანაწერი: „მისი ცხოვრება გვეხმარება შევასრულოთ ჩვენი რევოლუციური მოვალეობა ჩვენს ჯერ კიდევ გაყოფილ სამშობლოში“.

„რევოლუციური სალამი რევოლუციის დიდ მასწავლებელს ამხ. ი. ბ. სტალინს“, — წერს ძიანსუს პროვინციის ტურისტთა ჯგუფი.

მუზეუმში იყვნენ ჩეხოსლოვაკიის, ცეილონის; ინდოეთის, ეგვიპტის, ბულგარეთის, პოლონეთის პროფკავშირული, იტალიის, დანიის კომუნისტური პარტიების დელეგაციები, ვარშავისა და სოფიის უნივერსიტეტების სტუდენტები, მრავალი ქვეყნის ტურისტები...

წელს განხორციელდა ი. ბ. სტალინის მუზეუმის კეთილმოწყობის სამუშაოები. გაფართოვდა და გალამაზდა მისი ეზო, დაირგო ათასობით დეკორაციული და მარადმწვანე მცენარე.

აქამდე მუზეუმს ორი საექსპოზიციო დარბაზი ჰქონდა. ი. ბ. სტალინის დაბადების 80 წლისთავისათვის კიდევ გაიხსნა ოთხი ახალი საექსპოზიციო დარბაზი. ექსპონირებულია 200-მდე ახალი ექსპონატი და სამეცნიერო მასალა.

პირველ დარბაზში ექსპონატები ასახავენ ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდს მარქსისტულ-ლენინური პარტიის შექმნისას რუსეთში, პარტიის ბრძოლას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში; მეორეში ასახულია ახალი რევოლუციური აღმავლობა; მესამეში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, სამოქალაქო ომი, პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში; მეოთხეში — პარტიის ბრძოლა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის, დიდი სამამულო ომი, სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება. პარტიის მე-19 ყრილობა; მეხუთეში — გამოფენილია ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საჩუქრები; მეექვსე დარბაზი კი ასახავს სტალინის გლოვის დღეებს.

ტაბლად ცხოვრობს და მშვიდად შრომობს უუკნობი დიდებით მოსილი ქალაქი მტკვრისა და ლიახვის შესართავთან. ლიახვის გაღმა გაშენდა ფეიქართა დაბა, რომელსაც ახალ გორსაც უწოდებენ. ფეიქრები განუწყვეტლივ ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ეფართოებენ ასორტიმენტს. ახალ შვიდწლედში მწყობრში ჩადგება კომბინატის მეორე რიგი.

წლითიწლობით შენდება, ლამაზდება და იზრდება გორი. მარტო წელს ქალაქში ასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა საექსპლოატაციოდ. მდინარე მტკვარზე გაიხსნა ახალი დიდი ხიდი, მწყობრში ჩადგა შვიდწლედის პირმშო — ქარხანა „გორიხელსაწყო“.

..მუდამ სიცოცხლით სავსე ქალაქს ისევ ამაყად გადმოსყურებს გორის ძველთაძველი ციხე. რომლის თავზე წარწერილია სიტყვები ი. ბ. სტალინის სახელის უკვდავსაყოფად.

მ. ხეთაგური.

ქ. გორი.



დედამიწის ყველა კუთხიდან მოდიან სტალინის სამშობლო ქალაქ გორის სანახავად.

სურათზე: (ზემოთ) ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი. (ქვემოთ) მუზეუმში გამოფენილ ექსპონატებს ათვალიერებენ მნახველები.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი გამოფენა

ი. ბ. სტალინის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურის დიდი გამოფენა.

გამოფენის სტენდებზე ფართოდ არის ექსპონირებული ფოტოსურათები, ი. ბ. სტალინის შრომები, რომლებიც ასახავენ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

პირველ სტენდზე წარმოდგენილია ი. ბ. სტალინის ადრინდელი შრომები, დაბეჭდილი გაზეთ „ბრძოლაში“, თხზულებათა კრებულები, ცალკეული შრომები, როგორიც არის „ოქტომბრის რევოლუციის შესახებ“, „ლენინიზმის საკითხები“, „ლენინის შესახებ“, „ახალგაზრდობის შესახებ“, „წერილი კავკასიიდან“ და სხვ.

გამოფენის II განყოფილებაში ექსპონირებულია ი. ბ. სტალინის შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურა. საინტერესო მასალებია წარმოდგენილი გამოფენის III განყოფილებაში: კომუნისტური პარტია—ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

ი. ბ. სტალინის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები გაიხსნა აგრეთვე ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, შაუმიანის სახელობის, აგრეთვე დედაქალაქის სხვა ბიბლიოთეკებსა და კლუბებში.

თუ გუდამაყარში მოხვდით...

იგი სოფლიდან მარტო გავიდა, არ უნდოდა ჰაბუკს ამ სისხამ დილით ვისმე შეხვედროდა, მან ხომ ადრევე გადაწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა, ასულიყო ჭიუხის იმ მწვერვალზე, რომელიც რიჟრაჟზე ღრუბლებში გახვეულიყო და არაგვის სანაპიროდან დაყუდებულ მოხუცს ჰგავდა.

უკან მოიტოვა მჩქეფარე არაგვი, საჯიხვეებისაკენ მიმავალ ბილიკებს დაადგა და ერთხელ კიდევ უკან მოიხედა. აღარც მშობლიური სოფელი ბურსაჭირი ჩანდა და აღარც ათნოხის, ჩოხისა და გამსის მიდამოები. ახლა ჰაბუკს ფეხებთან ნისლის ზღვა ფარფატებდა, რომელიც ფარავდა ყველაფერს, ზემოთ კი ცასა და მიწას შუა დაკიდებული ჭიუხი იქაურობას მუქარით და ამაყად გადმოჰყურებდა.

გულში რაღაც სევდამ გაჭკრა, მაგრამ არ შეიმჩნია, კვლავ გაბედულად გაუდგა გზას. ფეხებზე თავისავე ხელით შეკერილი ბანდულები ეცვა, ზურგზე კი პაპისეული გუდა ეკიდა, რომელშიც მცირეოდენი საგზალი ჰქონდა.

დიდი გაჭირვება გადაიტანა ამ დღეს ივანე წოკლაურმა, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია, მარტოდმარტომ ვინმეს დაუხმარებლად მიაღწია ჭიუხის მწვერვალს, რომლის სამაღლე ზღვის დონიდან 4 ათასამდე მეტრს აღწევს.

— ჩემს ბედზე ამ დღეს კარგი ამინდი იდგა, — იგონებს ივანე, — სოფელში ჩემი წასვლა არავის ვუუგია, ასე რომ რაიმე დახმარებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. გადავწყვიტე რადაც უნდა დამჯდომოდა მწვერვალზე ავსულიყავი...

ივანეს ნებისყოფამ თავისა გაიტანა. როგორც აღვნიშნეთ, იგი წარმატებით ავიდა კლდოვანი ჭიუხის სამივე მწვერვალზე. იქიდან მამაცმა მთიელმა ცნობილი ქართველი მთამსვლელის ალიოშა ჯაფარიძის მიერ დატოვებული ბარათი წამოიღო.

მაგრამ ადამიანის ოცნება ისეთივე უსასრულოა, როგორც გუდამაყრის მთები. მიზანს რომ მიაღწიო, ჭიუხის მწვერვალები დაიპყრო, ახალგაზრდა მთამსვლელმა უფრო მეტი მოინდომა, რადგან გულიც ერჩოდა, მკლავისა და მუხლის ძალაც ნებას აძლევდა ასულიყო უფრო მაღლა, ჯერ კიდევ გაეკეთებინა ბილიკები.



ამ რამდენიმე წლის წინათ ქართველ ალპინისტთა ჯგუფმა პამირის მთებში სტალინის მწვერვალი დაიპყრო, ეს იყო ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელთა ბრწყინვალე გამარჯვება. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ექსპედიციის მაშველ ჯგუფში სხვებთან ერთად კოლეფორნელ ალპინისტი ივანე წოკლაურიც შედიოდა. 1956 წელს საქართველოს სპორტსმენებმა პამირზე მოსკოვის პიკი რომ დალაშქრეს, ივანე დამხმარე ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

საქართველოში ბევრი მწვერვალია, მაგრამ ასასულელად ისეთი ძნელი და პირქუში იშვიათად მოიპოვება, როგორც უშბაა. ცნობილი ქართველი მთამსვლელები და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, იაგორ კაზალიკაშელი და გიო ნიგურიანი იყვნენ პირველნი, რომლებიც ეკვე შეაშინა უშბის შეეულმა ყელმა და ყინვარდნილებმა, გაცოფებულმა გრიგალებმა და ზვავებისა და უზარმაზარი კლდეების ხმაურმა, რომელიც ათასი ზარბაზნის გასროლას მოგაგონებთ.

ივანე წოკლაური გულდასმით ეცნობოდა ჩვენი ალპინისტების იშვიათი გმირობის ამბავს, ზამთრის გრაჩლ ღამეებში გონების თვალით წარმოიდგენდა, როგორ ფრთხილად მიაბიჯებს ოთხი ადამიანი გულის მყინვარზე, როგორ ადიან ხერხიანით დაებილულ მაზრის ქედზე, შემდეგ ქვემოთკენ — „ყელსახვევისაკენ“ დაშვება. აქედან იწყება გლუვი და მეტად დაქანებული ყინულიანი კლდეები, ე. წ. „წოთელი კუთხე“ და ორასმეტრიანი შეეული კედელი უშბისა, რომელიც ისე იზიდავს მთამსვლელებს, როგორც ნათელი ფარვანას. მთამსვლელები დიდი გაჭირვებით მიცოცავენ უშბის კლდოვან კედელზე, საკმარისია ერთი არასწორი ნაბიჯი და მერე... უკვე გავლილია კედლის ორი მესამედი და ღამდება კიდეც, დასაწოლი კი არა უბრალო ფეხის დასადგმელი ადგილის პოვნაც ძნელია. ამიტომაც სამნი ბრუნდებიან უკან ღამის გასათევად, ხოლო ალექსანდრა ჯაფარაძე თოკით მიკრული რჩება უშბის საშინელ კედელზე. ალექსანდრა შიშობდა — შეიძლება გიო და იაგორი შედრეკილიყვნენ და უკან დაეხიათ, შესაძლოა თვითონაც შემკრთალიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც უშბის კედელზე დარჩა ცოცხალი მძეგალი, ისინი სიკვდილს ამჯობინებდნენ და უკან არ დაიხევდნენ.

მეორე დღეს ალპინისტები ახალი ენერგიით ეკვეთნენ კლდეს, ქარის საზარელ ღრიალში გადალახეს ყველა სიძნელე და თანდათანობით მიუახლოვდნენ ალექსანდრას, რომელმაც ამ ღამეს ნამდვილი გმირობა და სასწაული ჩაიდინა, რომლის მსგავსი ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვს.

იმ ბედნიერ დღეს ადამიანებმა პირველად შეიგეს ფეხი უშბის მწვერვალზე.

მას შემდეგ გავიდა წლები, უშბის ხშირი სტუმრები იყვნენ და-ძმა ჯაფარიძეები, სანამ ვერაგმა უშბაჰ სამუდამოდ მკერდში არ ჩაიკრა ალიოშა და მისი მეგობრები.

მოახლოვდა უშბის დაპყრობის 25 წლისთავი, საქართველოს ფიზკულტურულმა საზოგადოებრიობამ გადაწყვიტა უშბაზე ასული მოწყობილიყო სწორედ იმ თვესა და რიცხვში, რა თვესა და რიცხვშიც 25 წლის წინათ პირველად მიაღწიეს ამ უძნელეს მწვერვალს ალიოშა ჯაფარიძემ და მისმა მეგობრებმა.

უძლეურეს ალპინისტთა შორის იყო ივანე წოკლაურიც. ჩამოყალიბდა მოიერიშეთა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შედიოდნენ ი. გაბელაშვილი (ხელმძღვანელი), დ. გალდავა, ო. დადუშქელიანი და ივანე წოკლაური, მეორე ჯგუფში ჯ. გუგავა (ხელმძღვანელი) ი. ბერუაშვილი, გ. კობიძე და გ. წურედიანი.

ი. გაბელაშვილის ჯგუფს სწორედ იმ გზით მიდიოდა, რომლითაც ავიდნენ უშბაზე ალექსანდრა ჯაფარიძე და მისი ამხანაგები, საშინელ ქარბუქსა და ქარის ღმუილში მოუხდათ ალპინისტებს ამ სილამაზითა და სიმკაცრით განთქმულ მწვერვალზე ასვლა და ჩამოსვლა.

შვიდი დღის შემდეგ დაქანცული, მაგრამ შინაგანი სიხარულით აღსავსე ალპინისტები გულის მყინვარზე ჩამოვიდნენ. დიდი იყო მათი აღტაცება, რადგან მათ დამშვრად ჰკოცნდა უშბის პირველი დამპყრობი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელსაც თავზე სიხარულის ცრემლი სდიოდა. ეს ცრემლები ერთსადაიმავე დროს უშბაზე დაღუპულთა კუთვნილებაც იყო და იმათაც, ვინც ახლა გამარჯვებული ბრუნდებოდა და რომლებმაც კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩასწერეს სამშეულო ალპინიზმის ისტორიაში.

...გუდამაყრის მთებში ახლა დიდი თოვლია, დროდადრო დაიქუხებენ ხოლმე უზარმაზარი ზვავები, რომელიც არაგვს აგუბებს, გზებსა და ბილიკებს ჰკეტავს. სწორედ ისეთი ამინდია, ალპინისტებს რომ უყვართ.

თუ გუდამაყარში მოხვდით, ნუ შეგაშინებთ მთების მრისხანება, იცოდეთ— აქ ცხოვრობენ ივანე წოკლაურისთანა მამაცი ადამიანები, რომლებსაც მეგობრულად უხმობენ მთები და რომლებსაც შეუძლიათ ყოველთვის დაგიხმარონ ბუნების სტიქიონთან ბრძოლაში.

ა. თომაძე.

* * *

სურათზე: ი. წოკლაური.

ლაღად, მხიარულად გვიმზერს სურათიდან ეს პირცქრიალა გოგონა. იგი თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებში“ მუშაობს ამწყობ ზეინკლად. ჩინებულად აითვისა ბევრი რთული საწარმოო პროცესი და თავისი საქმის კარგ მცოდნედ ითვლება. ყოველთვიურად 150-170 პროცენტით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ვინ არის იგი? წარმოების ნოვატორი **ციალა ლაღიაშვილი.**

ფოტო ‘შ. ჩხეტიანისა.

მეზღვაურთა საჩუქარი

ამას წინათ ფოთის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა შორეული ნაოსნობიდან დაბრუნებულმა ტანკერმა „არაგვმა“, რომლის ეკიპაჟი გაეცნო ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მათ შორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და თან საჩუქრად გადასცა ორი ექსპონატი — მფრინავი თევზი და ზღვის კუ.

მფრინავი თევზები გუნდ-გუნდად დაფრინავენ გაშლილ ზღვაზე. ფრენით იცავენ თავს ისეთი მტაცებელი თევზისაგან, როგორიც არის თუნოსი, ზვიგენი, დელფინი და სხვ. მფრინავი თევზები განსაკუთრებით ბლომად არიან ხმელთაშუა ზღვასა და სამხრეთის ოკეანეებში. მათ ზომა 25 სანტიმეტრს არ აღემატება, წონა კი 250 გრამს. ფრთები და ზურგი მოშავო-მუქი ფერისა აქვს, ხოლო მუცელი — მოვერცხლისფრო. ხორცი ჩვეულებრივი თევზის ხორცივით გემრიელია.

ზღვის კუ ჩვეულებრივ კუსთან შედარებით უფრო დიდია და ჯავშანიც საკმაოდ მაგარი აქვს. მისი სიგრძეა 70 სანტიმეტრი, ხოლო წონა 25 კილოგრამი. იგი ზღვაში სწრაფად დაცურავს და ყვინთავს, იკვებება კიბოებით, თევზებით.

ამ დღეებში მუზეუმის ბუნების განყოფილებას კიდევ შეემატა ახალი ექსპონატი — ზვიგენის კბილი. იგი იპოვნა ფოთელმა ნავსადგურელმა მ. ვორობიოვმა მარგანეცის მადანში. ეს ნაპოვნი ხაზს უსვამს გეოლოგთა იმ მეცნიერული დასკვნის სრულ ჭეშმარიტებას, რომ დღევანდელ ხმელეთზე გარკვეული პერიოდის მანძილზე არსებობდა წყალი და ყინული, რამაც თავისი კვალი დატოვა ნალექების სახით.

კ. კომახიძე.

მწყობრში—ახალი ბინები!

არასოდეს არ აშენებულა თბილისში იმდენი საცხოვრებელი სახლი, რაც ამ უკანასკნელ ორიოდე წელიწადში.

მარტო წელს ქალაქში აიგო ათეული ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც ათასობით ოჯახს უზრუნველყოფს კეთილმოწყობილი ბინებით.

წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში სექესპლოატაციოდ გადაეცემა მთელი რიგი ახალი სახლები. სახალხო მეურნეობის საბჭოს საქართველოს მატმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეები ამ დღეებში საბურთალოზე, კომინტერნის ქუჩაზე, 5-სართულიან 24-ბინიან სახლში შეეკლენ. ჭავჭავაძის პროსპექტზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა წყალთა მეურნეობის 7-სართულიანი 46-ბინიანი კეთილმოწყობილი სახლი. ამ სახლში 2.300 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობია. ახალ ბინებში გადავლენ აგრეთვე საქენერგოს, ტყექაღალდმოწეველობის სამმართველოს, შრატებისა და ვაქცინების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

მომავალ წელს კიდევ უფრო გაფართოვდება ბინების მშენებლობა. მარტო სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების თანხებიდან თბილისში დაიხარჯება 179 მილიონი მანეთი და აიგება 118.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

„ს ა მ შ ო ბ ლ ო ჩ ე მ ი გ უ ლ ი ს ფ ე თ ქ ვ ა ა“...

მონოგრაფია გიორგი ლეონიძის პოეზიაზე

რჩეულთა შორის დგას ქართველი ხალხის სასახელო მომღერალი, ღვაწლმოსილი პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე.

სამწუხაროდ, დღემდე არ დაწერილა მონოგრაფია, რომელშიც სრული სახით იქნებოდა წარმოდგენილი გ. ლეონიძის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, როგორც დიდი პოეტისა, საზოგადო მოღვაწისა და გამოჩენილი მკვლევარისა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ მაინც ავსებს ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული გრიგოლ ხერხეულიძის მონოგრაფიული ნაშრომი — „გიორგი ლეონიძის პოეზია“, სადაც თანმიმდევრობით არის განხილული პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების საკვანძო საკითხები.

ნაშრომის ავტორი გამოკვლევს გ. ლეონიძის შემოქმედების პირველ პერიოდს (1910-1925 წწ.), რომელიც თავის მხრივ ორ ეტაპერიოდად იყოფა: პირველი, პოეტური ყრმობის წლები (1910-1918), ხოლო მეორე, ცისფერყანწელური ხანა (1918-1925), როცა პოეტმა თავისებური ხარკი გადაუხადა სიმბოლიზმს.

მომდევნო თავებში ნაჩვენებია გ. ლეონიძის პოეზიის სიდიადე, რომელსაც აცისკროვნებს სამშობლოს უღრმესი სიყვარულის რწმენა:

„გულის ნათელი მე მიპოვნია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი“.

წიგნის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ ავტორი საილუსტრაციო ნიმუშებს ზომიერების დაცვითა და ფაქიზი გემოვნებით იყენებს. ყოველივე ეს ავტორს საშუალებას აძლევს დაგვანახვოს და გვაგრძნობინოს გ. ლეონიძის, როგორც ქართული ლექსის დიდოსტატის, სიდიადე და ბრწყინვალება. ამ მხრივ გამოირჩევა მონოგრაფიის მეექვსე თავი, რომელიც ეხება გ. ლეონიძის პოეტურ ოსტატობას. ნაჩვენებია გ. ლეონიძის შემოქმედებითი დამოკიდებულება ქართული ხალხური პოეზიის ცალკეული ნიმუშების მიმართ. გ. ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“ ისეთივე ორიგინალური და ბრწყინვალე ნიმუშია ქართული პოეტური სიტყვისა, როგორც მისი ფოლკლორული საფუძველი — „მუხრანული ბალადა“.

ავტორის დაკვირვებით დიდ პოეტს ყველაზე მეტად გამახვილებული აქვს მხედველობითი და სმენითი გრძნობები. ბუნების ფერადოვნება და ბგერადობა პოეტის გრძნობათა საძყაროს დიდი ძალით სწვდება და ამოძრავებს. გ. ლეონიძის მხატვრული სახეებიც უფრო ფერებისა და ხმების ორგანული შერწყმით გამოირჩევიან.

გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკის განხილვისას მონოგრაფიის ავტორი ქვესათაურშივე („მე სიყვარულმა დამავიჟეკაცა“) მიუთითებს სიყვარულის იმ უდიდეს ძალაზე, რომელიც გ. ლეონიძის პოეზიაში დიდი სიღრმით, მხატვრული განცდის ორიგინალობითა და რუსთველური სისპეტაკით გამოვლინდა. რა სახითაც არ უნდა წარმოუდგეგიდეს პოეტს თავისი სატრფიალო გატაცება, მის მიმართ დამოკიდებულება, მისადმი მიმართვა ყოველთვის აღბეჭდილია უაღრესი სისპეტაკით, ამაღლებული გრძნობათა და თაყვანისცემით:

„მე რომ მიყვარხარ, განა ისე არწყვეს
მთა უყვარს,
ისე მაღალი და სპეტაკი განა მთებია?“

ისტორიული პოემები — „ფორთოხალა“ და „სამგორი“ სიყვარულითა და საქმის ღრმა ცოდნით არის განხილული. ოღონდ აქ სადაოა, „ფორთოხალა“ არის თუ არა ისტორიული პოემა. „სამგორი“ ფართო მასშტაბის მონუმენტური ნაწარმოებია. ფაქტები და მოვლენები თანამედროვე სინამდვილიდან არის დანახული და განცდილი. იგი მეღელავე პოეტური შთაგონებით ასახავს ქართველი ხალხის ძმიერ, მაგრამ გმირული წარსულის ერთ-ერთ ეტაპს.

მონოგრაფიაში იგრძნობა ერთგვარი წინააღმდეგობა. ავტორი ცალკე გამოჰყოფს გ. ლეონიძის შემოქმედების „ცისფერყანწელურ ხანას“, ხოლო შემდეგ ცდილობს ერთგვარად „შეალამაზოს“ პოეტის დამოკიდებულება ამ ჯგუფისადმი. სასურველი იყო ცალკე გამოეყო ავტორს და მეტი ყურადღება მიექცია ხალხური პოეზიის მიმართ გ. ლეონიძის შემოქმედებითი დამოკიდებულებისათვის.

ვრ. ხერხეულიძის მონოგრაფია გამოჩენილ ქართველ პოეტზე მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს გ. ლეონიძის შემოქმედების შემდგომი კვლევა-ძიების საქმეში.

ა. ცანავა.

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ი ს გ უ ლ ი ს ფ კ ი ვ ი ლ ი

ფიქრები კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრზე

აფიშა — ყოველი თეატრის სადარბაზო ბარათია. მის მიხედვით ადვილია განვსაზღვროთ, რა პრობლემები აღელვებს თეატრის კოლექტივს, ან რა შემოქმედებით და იდეურ ამოცანებს იაზავს იგი.

ჩვენს წინ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის აფიშაა. ამ აფიშაზე მთელი კვირის განმავლობაში აღნიშნულია ორადორი სპექტაკლი „ამერიკული ტრაგედია“ თ. დრაიზერის მიხედვით და ზაკისა და კუზნეცოვის „ორი ფერი“.

არ შევეხებით ამ სპექტაკლების მხატვრულ ღირებულებას, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ თეატრი ესოდენ მძიმე სარეპერტუარო კრიზისს განიცდის, მრავლის მთქმელია.

თეატრი, რომელიც გამოჩენილი ქართველი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის სახელს ატარებს, ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ თეატრს მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კ. მარჯანიშვილი, სცენის ამ ჯადოქარმა მაინც დაამკვიდრა კარგი ტრადიცია, მოასწრო არა მარტო კლასიკური სპექტაკლების შექმნა. სიკვდილის შემდეგ მან თეატრი დაუტოვა თავის საიმედო მოწაფეებს, რომლებსაც ასეთი მოთმინებითა და სიყვარულით ზრდიდა იგი წლებითა განმავლობაში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ თეატრისათვის დამლუპველი არ შეიქმნა მისი დედამიწის გამოცლა. კ. მარჯანიშვილის შემოქმედებითი აზრი, მისი პრინციპები თეატრის კედლებში დარჩა, მისმა მოწაფეებმა სახელოვნად გააგრძელეს დიდი მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმე. მაგრამ გადიოდა წლები, პირველი თაობის მებრძოლთა რიგები თანდათან შეთხელდა, მათ მწკრივს გამოეცალნენ ისეთი დიდი მსახიობები, როგორიც იყვნენ უ. ჩხეიძე, ილ. ჩერქეზიშვილი, ნ. გოცირიძე, შ. ღამბაშიძე, ტ. ახაშიძე, ც. წიფუნავა და გ. შავგულიძე.

ჯერ კიდევ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში შეუმჩნეველი არ დარჩათ მოსკოველებს ის გარემოება, რომ მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, რომელიც ყოველთვის იყო ცნობილი თავისი შესანიშნავი, მაღლიანი ნიჭის მქონე მსახიობებით, დეკადაზე მთელი შესაძლებლობით ვერ წარსდგა. განა გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს ის გარემოებამ, რომ სადეკადო სპექტაკლებზე თითქმის არ ყოფილან წარმოდგენილი თეატრის წამყვანი ძალები: ვ. ანჯაფარიძე, ხ. თაყაიშვილი, გ. შავგულიძე, მ. თბილელი, ა. ომიაძე.

დეკადის დამთავრების შემდეგ ამ მხრივ მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო დარჩა. გადის დრო, და დღემდე თითო რული შექმნეს ვ. ანჯაფარიძემ („მუმლი მუხასა“) და ვ. გოძიაშვილმა („ტაიფუნი“). ს. თაყაიშვილს ამ ხნის განმავლობაში არ შეუსრულებია არც ერთი ახალი როლი. ასევე თითქმის არ თამაშობენ მ. ჯაფარიძე, ა. ომიაძე, ა. კვანტალიანი, ვ. ნინუა, მაშინ როდესაც ამ მსახიობებზე შეიძლება აიგოს თეატრის რეპერტუარი.

ჩვენს მაყურებელს იზიდავს არა მარტო პიესის სათაური (ხშირად ეს პიესა მისთვის ცნობილიც არ არის), მას სურს ერთხელ კიდევ დატკბეს საყვარელი მსახიობების შთამაგონებელი ხელოვნებით, ეზიაროს მათს მაღალ ხელოვნებას.

რა არის მიზეზი იმისა, რომ უფროსმა თაობამ როგორღაც გული აიცოუა თავის თეატრზე? ჩვენ ამ მეტად რთული მიზეზების გამოძიებას არ შევუდგებით, მაგრამ გვწამს, რომ ამ მსახიობებმა რომ გულით მოინდომონ მუშაობა საკუთარ თეატრში, მათ არავინ გადაეღობება წინ. არც-ის შეგვძლია დავიჯეროთ, რომ ქონოხელოვნებას მათთვის უფრო მეტი წარმატებისა და მაყურებელთა მეტი სიყვარულის მოტანა შეუძლია, ვიდრე თეატრს. მით უფრო, რომ უკანასკნელ ხანებში გამოსული კინოსურათები ამისათვის არავითარ საბაბს არ იძლევიან...

ჩვენს მაყურებელს, მაღლიერ მაყურებელს უყვარს თავისი მსახიობები, ამაყობს მათი შემოქმედებით, მაგრამ მომთხოვნია და გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს თეატრის კოლექტივს.

არ მოუწონებდა განსვენებული მასწავლებელი თავის მოწაფეებს თეატრისადმი გულგრძნობას, არ მოუწონებდა იმას, რომ ზოგიერთი მათგანი, კინოგადაღებებით გატაცებული, თვეების განმავლობაში ახლოსაც კი არ ეკარება მას.

ეს რაც შეეხება უფროსსა და საშუალო თაობას. თეატრს ჰყავს ახალგაზრდობაც, მათ შორის ჭეშმარიტად ნიჭიერი მსახიობები, მზარდი ძალა, რომელსაც მომავალში ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, უკანასკნელ ხანებში ამ ახალგაზრდობას მიეცა დიდი შესაძლებლობანი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ის არის, რომ ამ ახალგაზრდობასთან წლების განმავლობაში საკმაოდ არ მუშაობდნენ, თეატრში ნაკლებად იყო დანერგილი დუბლიორობის სისტემა. ამიტომაც ახალგაზრდობა ძირითადად მიიჩრდილა; ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა თვითკმაყოფილებას მიეცა, თუმცა ჯერ კიდევ თავისი მთავარი სიტყვა ხელოვნებაში არ უთქვამს. მაგალითად, უდავოა ელ. ყიფშიძის ნიჭიერება, მაგრამ სპექტაკლიდან სპექტაკლში მსახიობი ქალი იშტამპება, ერთსა და იმავე ხერხებს იმეორებს ყველა როლში, ყველა სპექტაკლში. ეს გარემოება კი მას, როგორც შემოქმედს, მეტად დიდ საშიშროებას უქმნის. თეატრში მუშაობენ მ. მახვილაძე, ლ. ანთაძე. ო. მელვინეთ-უზუცესი, მ. თაბუკაშვილი. მათი სახელი ცნობილია მაყურებლისათვის, თუმცა ამ ახალგაზრდა მსახიობებს, ჯერ კიდევ წინ აქვთ დიდი და რთული ამოცანები, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს თავდადებულ შრომასა და თეატრის უანგარო სიყვარულს.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალგაზრდობამ საჭიროა კარგად იცოდეს, რომ სწორედ ეს თეატრი და მისი შემოქმედებითი პრინციპებია მისთვის მისაღები, რომ სწორედ ამ თეატრის მიერ არჩეული გზით შეუძლიათ მათ ცხოვრება ხელოვნებაში. მარჯანიშვილის თეატრს ყოველთვის ჰქონდა თავისი გარკვეული შემოქმედებითი სახე, იგი ბრწყინვალედ განასახიერებდა ფსიქოლოგიურ დრამას, კომედიას, დიდ ტრაგიკულ სპექტაკლს. ეს თეატრი გრძნობდა და გადმოგვცემდა ქართული ცხოვრების ყოფას, ქართველი ადამიანის ხასიათს.

მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებაში მეტად დიდი და საპატიო ადგილი ეჭირა ეროვნულ დრამატურგიას, დღეს კი ამ მხრივ ნეტარ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. ძალიან ცოტაა თეატრის რეპერტუარში თანამედროვე ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებები.

არ შეიძლება თეატრმა იარსებოს, თუ არა აქვს თავისი ეროვნული დრამატურგია. ეს აქსიომაა, როძელსაც კომენტარი არა სჭირდება; მაგრამ რატომ არის, რომ ჩვენი თეატრები (ამ შემთხვევაში ეს მარტო მარჯანიშვილის სახელობის თეატრს არ ეხება) ასეთი სეკტიციაზმით და გულცივობით არიან შეპყრობილი ეროვნული დრამატურგიისადმი.

ჩვენ მივეხალმებით რუსულ, დასავლეთ ევროპის კლასიკურ და თანამედროვე დრამატურგიას, მაგრამ პირველ რიგში მაინც ეროვნული დრამატურგია უნდა იდგეს: ქართველი ადამიანის ცხოვრება, ქართული ხასიათები. განა ჩვენი მუშები, ჩვენი ინტელიგენცია ან კოლმეურნე გლეხობა ღირსი არ არიან, რომ მათი ცხოვრება სცენური ხელოვნების შთამაგონებელ წყაროდ იქცეს?

განა ჩვენი საბჭოთა ადამიანების განცდები, მათი სულიერი ცხოვრება დრამიზერის, კასოს ან სხვათა გმირების ცხოვრებაზე ნაკლებად საინტერესო და ღირსშესანიშნავი? ამ მხრივ თეატრებთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ ჩვენმა დრამატურგებმაც.

სწორედ ჩვენი ხალხის გმირობა, მისი შესანიშნავი ეროვნული თვისებები გვსურს დავინახოთ სცენაზე ეპიურ, მაღალ რომანტიკულ ტილოებში.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ყოველთვის იყო დიდი განცდების, იდეებისა და აზრების თეატრი; ამიტომ უკანასკნელ წლებში მისი გატაცება ხაოჯახო ინტიმური თემატიკით, მელოდრამით მას კეთილისმყოფელად არ მოევლინა. ამის შედეგია ისიც, რომ როდესაც თეატრმა რომანტიკულ, ჰეროიკულ რეპერტუარს მოჰკიდა ხელი, მარცხი განიცადა („მუმლი მუხასა“). მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სპექტაკლში თეატრმა თავისი ძველი შემოქმედებითი ძალა გამოამჟღავნა (ვგულისხმობთ გორკის „ფსკერზე“-ს და ლ. ლეონოვის „შემოსევას“), ეს სპექტაკლები მალე ამოვარდა რეპერტუარიდან და ისეთი მხატვრულად სუსტი დადგმები კი, როგორიც „ასი ათასი“ და „ნანაა“, საკმაოდ დიდხანს „ამშვენებდნენ“ თეატრის აფიშებს.

მარჯანიშვილია სახელობის თეატრის რეპერტუარი საერთოდ ბოლო ხანებში როგორღაც ჭრელია. (გაუგებარია, რა პრინციპით ხდება მისი შერჩევა, ამას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს). თეატრის რეჟისურას, მის სამხატვრო საბჭოს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება რეპერტუარის სწორად შერჩევის საკითხში. თეატრი ამ რეპერტუარით თავის საკუთარ სიტყვას უნდა ამბობდეს და არა იმეორებდეს სხვა თეატრების მიერ უკვე განხორციელებულ დადგმებს. რეპერტუარი ისე უნდა შეირჩეს, რომ დაკავებული იყოს მთელი დასი, მოხდეს უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობის მსახიობთა ძალების შეფასება, ყველამ უნდა ითამაშოს, ყველამ უნდა შეუწყოს ხელი მშობლიური თეატრის აყვავებას.

ამჟამად თეატრს საკმაოდ საინტერესო ამოცანები აქვს დასახული. იგი აპირებს დადგას მ. ბარათაშვილისა და ვ. გაბისკირიას პიესები თანამედროვე თემაზე, ბ. შოუს „ქმისარი და კლეოპატრა“. მაგრამ ამ მხრივ საჭიროა დიდი დაფიქრება და სიფრთხილე, საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს ქართულ საბჭოთა დრამატურგიას.

მარჯანიშვილის თეატრის რეჟისურა საკმაოდ მძლავრი ძალაა, მაგრამ მისი როლი თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში, სამწუხაროდ, არ იგრძნობა. რეჟისურა კმაყოფილდება სპექტაკლების დადგმით, მაშინ როცა იგი უნდა იბრძოდეს თეატრის შემოქმედებითი სახის შენარჩუნებისათვის, უნდა წარმართავდეს თეატრის კოლექტივის მთელ შემოქმედებითს მუშაობას და მაორგანიზებელი იყოს. ახლის მოუსვენარი ძიება, ახალი ფორმებისათვის ბრძოლა აუცილებელი უნდა იყოს ამ რეჟისურისათვის, რათა გაიტაცოს, აიელვოს მსახიობთა კოლექტივი, ახალი და ახალი ამოცანები დაუსახოს მას.

კ. მარჯანიშვილი ყოველთვის ამბობდა: „ჭეშმარიტი თეატრი ის არის, რომელიც ადაძიებს სიხარულს მოუტანს“. ჩვენს მაყურებელს კვლავ ხუთს თავისი საყვარელი თეატრის სცენაზე იხილოს სპექტაკლი-დღესასწაული, სპექტაკლი დიდი საზეიმო, სანაპირო ბრივი ხასიათისა, მაღალი იდეებისა და აზრებისა. თეატრს ამის ყველა პირობა აქვს. ამიტომაც კოლექტივმა უნდა იგრძნოს უდიდესი პასუხისმგებლობა მაყურებლის წინაშე.

მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში პორტრეტებიდან სერიოზულად და მომთხოვნად იმზირებიან ისინი, ვინც წავიდნენ ცხოვრებიდან, მაგრამ მათი ხელოვნების მარცვალი, მათი ნიჭის ნაპერწკლები, მათი ცხოვრების დიდი მონაკვეთი ამ კედლებშია მოქცეული და მათ უფლება აქვთ მოსთხოვონ უფროსებსაც და უმცროსებსაც პასუხისმგებლობა თავიანთი თეატრის წინაშე. მარჯანიშვილის თეატრი ეროვნული კულტურის ერთ-ერთი კერაა. იგი ხალხს ეკუთვნის, ამიტომ ხალხი იმედით უყურებს ამ თეატრის კოლექტივს, რომელიც შესაძლოა გზაჯვარედინზე იმყოფება, ეძებს ახალ გზებს თავის შემოქმედებითს ცხოვრებაში, მაგრამ ვალდებულია აირჩიოს ის ერთადერთი გზა, რომელიც ძველის ტრადიციებზე და ნოვატორობაზე იქნება დაყრდნობილი და რომელიც ქართულ სასცენო ხელოვნებას ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს მოუტანს.

ჩვენ გვწამს ეს და ამას მოველით სახელოვანი თეატრის კოლექტივისაგან.

ნადეჟდა შალუტაშვილი.

მ ა თ ი ს ა ხ ე ლ ი ს უ კ ვ დ ა ვ ს ა ყ ო ფ ა დ...

1861 წლის შემოდგომა. პეტერბურგი. სტუდენტთა რევოლუციური გამოსვლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. დემონსტრაცია. რეპრესიები. დემონსტრაციის ბევრი მონაწილის დაპატიმრება. მათ შორის იყო ჩვენი თანამემამულე გიორგი წერეთელი. ეს თვალსაჩინო მომენტია გ. წერეთლის ცხოვრებაში. სტუდენტთა ამ მღელვარების გამო დაწერილ წერილში ა. გერცენი წერდა: „მაგრამ სად უნდა წახვიდეთ თქვენ, ჰაბუკებო, რომლებსაც მეცნიერების კარები დაგიკეტეს?“ და თვითონვე უპასუხებდა: „ხალხში, ხალხისაკენ!“.

ეს საყურადღებო ფაქტი შეგნებულად გაიხსენეთ გ. წერეთლის ბიოგრაფიიდან. ესეც რომ არ იყოს, იგი ხომ გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტი, მრავალმხრივ ცნობილი მოღვაწეა. იგი დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ ბორასაში. აქ გაატარა თავისი სიცოცხლის გარკვეული წლები, ა

საგლეხოოთხელი

როკფელერი ჟონგლიორობს ატომური ბომბებით.

ნახ. მ. ოთაროვისა.

თათბირი პარიზში

პარიზი, 19 დეკემბერი. (საკ. ფილ.). დღეს დილით პარიზში ელისეს სასახლეში გაიხსნა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობების მეთაურთა სამი დღის თათბირი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი და დასავლეთ გერმანიის კანცლერი ადენაუერი.

მიაჩნიათ, რომ დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც ხვალ გაგრძელდება საფრანგეთის პრეზიდენტის ქალაქგარე რეზიდენციაში რამბუიეში, არის მომზადება დასავლეთისა და აღმოსავლეთის წარმომადგენელთა უმაღლესი დონის თათბირისათვის და მიზნად ისახავს დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების შეთანხმებას ამ თათბირის წინ.

დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა საერთო სხდომებთან ერთად გათვალისწინებულია აგრეთვე ორმხრივი მოლაპარაკება, კერძოდ საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერს შორის, რასაც ადგილობრივი პოლიტიკური მიმოხილველები არცთუ ცოტა მნიშვნელობას ანიჭებენ, ითვალისწინებენ რა საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობის ახლანდელ ხასიათს.

დაწყებული თათბირი პარიზის პრესის ყურადღების ცენტრშია. ეხება რა მის მიზნებსა და ამოცანებს, „გაზეთ „ფიგაროს“ მიმოხილველი როქე მასპინი აღნიშნავს, რომ ეს მიზნები და ამოცანები გამოიხატება. იმით, რომ განიხილონ უმაღლეს დონეზე თათბირის თარიღის, ადგილის, მონაწილეთა შემადგენლობისა და დღის წესრიგის საკითხი, აგრეთვე „განსაზღვრონ აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის წინ დასავლეთის სახელმწიფოთა საერთო პოზიცია“. მასიან გამოთქვამს აზრს, რომ დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელნი წამოაყენებენ წინადადებას თათბირი უმაღლეს დონეზე მოეწყოს 25 აპრილსა და 15 მაისს შორის და რომ მისი მოწყობის ყველაზე მოსალოდნელი ადგილი იქნება ჟენევა. დაახლოებით ასეთსავე თვალსაზრისს გამოთქვამს პარიზის გაზეთების უმრავლესობა.

ახასიათებენ რა ვითარებას, რომელშიც გაიხსნა დასავლეთის ლიდერთა თათბირი, პარიზის პრესის მიმომხილველნი წინასწარმეტყველებენ, რომ მოლაპარაკებას მწვავე ხასიათი ექნება. „არ შეიძლება ითქვას, — შენიშნავს მემარჯვენე გაზეთი „ორორი“, — რომ მოლაპარაკება დასავლეთის სახელმწიფოებს შორის დაიწყო უღრუბლო ცისქვეშ. ამასთან დაკავშირებით გაზეთები ყურადღებას აქცევენ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების შეუთანხმებლობას ზოგიერთ დიდნშენელოვან პრობლემაზე, აგრეთვე მწვავე უთანხმოებას მათ შორის ნატოს საბჭოს ამასწინანდელი სესიის მსვლელობაში.

პარიზი, 19 დეკემბერი. (საკ. ფილ.). დამთავრდა დასავლეთის ოთხი ქვეყნის ხელმძღვანელთა თათბირის დილის სხდომა. დაწვრილებითი ცნობები ამ სხდომის შესახებ არ გამოქვეყნებულა.

სხდომის შემდეგ ეიზენჰაუერმა და დე გოლმა დაიწყეს საიდუმლო ორმხრივი მოლაპარაკება.

ფრეჟიუსში მომხდარი კატასტროფის შედეგები

პარიზი, 18 დეკემბერი. (საკ. ფილ.). საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ფრეჟიუსში მომხდარი კატასტროფის შედეგად (გაირღვა კაშხალი და ქალაქი ფრეჟიუსი წყალმა დაფარა) დაიღუბა 306 კაცი და 106 კაცი უკვალოდ დაიკარგა.

საერთაშორისო თემაზე

საჯაროდ გატკანი, კულისებში მგელი

პარიზში, ბულონის ტყეში, ახლახან აგებულ ახალ შვიდსართულიან შენობაში 15-17 დეკემბერს სხდომები ჰქონდათ ნატოს 14 ქვეყნის მინისტრებს. ეს იყო ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის საბჭოს მორიგი სესია.

სესია ფრიად პარადულად დაიწყო. წარმოითქვა ოპტიმისტური სიტყვები; გარეშე მეთვალყურეს შეიძლებოდა მოსჩვენებოდა, რომ ნატოში ყველაფერი რიგზეა. ასეთივე ტონით იყო დაწერილი ნატოს სესიის საბოლოო კომუნიკე. კომუნიკეს თანახმად სესიის მონაწილენი „ერთსულოვნად ადასტურებენ“ თავიანთ რწმენას ატლანტიკის კავშირისადმი“.

მაგრამ სინამდვილე ძირეულად ეწინააღმდეგება იდილიურ სურათს, რომლის დახატვასაც ცდილობდნენ ატლანტიკის ბლოკის მესვეურები. ნატოს სესიის შედეგებს უაღრესად ოქმის მიხედვითაც რომ მივუდგეთ, ისინი მანუგეშებელი როდია. თვითონ განსაჯეთ. სესიაზე განხილეს ბეკრი საკითხი: მძლავრი „ატლანტიკის ატომური ძალების“ შექმნა, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ამერიკის ხელმძღვანელი წრეების ცდასთან დაიჩქარონ დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღება; ევროპის ქვეყნების „წელილის“ შეტანა ნატოს „თავდაცვით ღონისძიებებში“; უთანხმოებანი ნატოში, კერძოდ, შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის. ვერც ერთ ამ საკითხზე სესიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება. ყველა ხსენებული საკითხის განხილვა გადატანილია „მომავლისათვის“. მაშასადამე სესიის არ მოჰყოლია ატლანტიკის სოლიდარობის განმტკიცება, რის იმედიც მის ორგანიზატორებს ჰქონდათ. პირიქით, უთანხმოებანი ატლანტიკის ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა.

ახლა დასავლეთის პრესა ეძებს პარიზის სესიის წარუმატებლობისა და იმ სიძნელეების მიზეზებს, რომლებსაც ატლანტიკის ბლოკი განიცდის. აზრთა უმრავლესობა ერთ დასკვნამდე მიდის: ნატოს კრიზისის მიზეზი ის არის, რომ ამ ბლოკის პოლიტიკა შეუფერებელ წინააღმდეგობაშია დასახულ ცვლილებებთან საერთაშორისო ვითარებაში.

მართლაც, ახლანდელი საერთაშორისო ვითარების დამახასიათებელი ნიშნებია დაძაბულობის ცნობილი შენელება, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება, საყოველთაო მისწრაფება განიარაღებისადმი. ყოველივე ეს გამაღებული შეიარაღების პოლიტიკის მომხრეებს უსპობს ყოველგვარ არგუმენტაციას. „როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით ეროვნული და საერთაშორისო მოვლენები იქცევა შეთქმულებად ნატოს წინააღმდეგ“ — დაასკვნის ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“. ფრანგული გაზეთი „დოფინე ლიბერე“ აცხადებს: „ერთ მოსაზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ნატოს წევრთა უმრავლესობის პოზიციაში: რატომ არის საჭირო ხელახალი შეიარაღება, თუ საქმე ეხება დაძაბულობის შენელებას, რომელსაც უნდა მოჰყვეს საყოველთაო და კონტროლირებული განიარაღება?“. ნატოს ზოგიერთი წევრი არა მარტო აძლევს თავისთავს ამ შეკითხვას, არამედ პრაქტიკულადაც უპასუხებს მასზე დროის სულისკვეთებით.

და აი ასეთ ვითარებაში იკრიბება ნატოს სესია. მის ლიდერებს არ შეეძლოთ, რა თქმა უნდა, ჯეროვნად არ შეეფასებინათ მომხდარი ცვლილებები. ნატოს მოღვაწეთა საჯარო სიტყვების ტონი უფრო ზომიერი იყო, ვიდრე წინათ. ისინი ლაპარაკობდნენ განიარაღებაზეც, თანაარსებობაზეც, იმაზეც, რომ მათ ახლა თითქოს მიაჩნიათ, რომ „საბჭოთა კავშირში არის ნამდვილი მისწრაფება მშვიდობისადმი“. საბოლოო კომუნიკეშიც კი ჩაწერილია, რომ დასავლეთის მიზანია საყოველთაო და კონტროლირებული განიარაღება.

მაგრამ ეს იყო საჯარო სიტყვებში. დახურულ სხდომებზე კი განიხილავდნენ სულ სხვა საკითხებს — გამიზნულს გამალებული შეიარაღების შემდგომი აქტივიზაციისაკენ, ესე იგი ახალ პირობებში გაკოტრებული ძველი პოლიტიკის განგრძობისაკენ.

ვ. ზაგლადინი.

„მონეს“ არ ახსოვს ამდენი ტაში“...

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა წარმატებით დაამთავრა გასტროლები ინგლისში და 14 დეკემბერს ბელგიაში გაემგზავრა.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ბრიუსელში, სასტუმრო „პლაცპოტელში“ ტელეფონით დაუკავშირდა ანსამბლის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ილიკო სუხიშვილს და სთხოვა მოეთხრო როგორ ჩაიარა პირველმა კონცერტებმა ბელგიის დედაქალაქში. ილიკო სუხიშვილმა განაცხადა:

— პირველი კონცერტი 16 დეკემბერს გავმართეთ ბრიუსელის სამეფო თეატრში — „მონეში“. ბელგიაში პირველად ვართ და, ცოტა არ იყოს, ვღელავდით, როგორ მიიღებდა აქაური აზნი მაყურებელი ჩვენს გამოსვლებს. მაგრამ, თუ შეიძლება ითქვას, ყველაფერმა „ტრადიციულად“ ჩაიარა... სცენა ყვავილებით აივსო, ფარდა თექვსმეტჯერ აიხადა და ფიფზე წამომდგარი აღტაცებული მაყურებელი გულწრფელად გვიკრავდა ტაშს.

ამ პირველ კონცერტს დაესწრნენ ცნობილი ბელგიელი მსახიობები და თეატრალური მოღვაწენი, პარლამენტის წევრები, საელჩოების წარმომადგენლები. კონცერტს ესწრებოდა საბჭოთა კავშირის ელჩი ბელგიაში ს. აფანასიევი. კონცერტის დამთავრების შემდეგ თეატრის დირიქციამ დარბაზიდან გამართა, რომელსაც რვაასამდე კაცი ესწრებოდა. პირველი სადღეგრძელო ქართული ხელოვნებისა და ხალხთა მეგობრობისა შეისმა...

ბრიუსელის გაზეთები „ლე დრაპო რუუი“, „ლე პეპლი“, „ლე სუარი“ და „ლე სიტე“ ყოველ ჩვენს გამოსვლას რეცენზიებს უძღვნიან. „როდესაც ფოლკლორი სრულყოფასა და ბრწყინვალებას აღწევს“... „შეუდარებელი წარმოდგენა“... „მონეს არ ახსოვს ამდენი ტაში“ — აი ზოგიერთი სათაური ამ გაზეთებში დაბეჭდილი წერილებისა...

ბელგიაში მომავალი წლის 8 იანვრამდე დავრჩებით. 28 დეკემბერს წავალთ ანტვერპენში, სადაც სამ კონცერტს გავმართავთ უზარმაზარ სასპორტო დარბაზში, რომელიც რვა ათასამდე კაცს იტევს... მომავალი ჩვენი საგასტროლო ქვეყანა ლუქსემბურგია.



ზღვა ხალხი

საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა დიდი წარმატებით შემოიარა ინგლისის ქალაქები და ახლა ბელგიაში მართავს კონცერტებს. მაგრამ გაბა ეს პირველია? ქართველ მოცეკვავეებს წინათაც მრავალჯერ უსახელებიათ სამშობლოს საზღვრებს გარეთ ქართული ხელოვნება და კულტურა.

ჯერ იყო და XIX საუკუნის დასაწყისს ქართველი ცხენოსნების მიერ წარმოდგენილმა ცეკვებმა მოხიბლეს უცხოელები. ხოლო 1935 წელს კიდევ უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია ქართველ მოცეკვავეთა გუნდმა ლონდონის ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალზე.

ქართველი მოცეკვავეები ლონდონში 1935 წელს

ძველზე რომ არაფერი ვთქვათ, ვფიქრობ ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის საინტერესოა მოკლედ შეეგებოთ ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლას საერთაშორისო ფესტივალზე.

1935 წლის 15-25 ივნისს ინგლისის დედაქალაქ ლონდონში მოეწყო ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი: მასში მონაწილეობას იღებდა ევროპის 18 სახელმწიფო, ათ შორის: ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, საფრანგეთი, გერმანია, თვით ინგლისი და სხვ. ლონდონის ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა მოსკოვის მუშათა კლუბების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისაგან დაკომპლექტებული რუსული ცეკვების ანსამბლი. ამ ანსამბლში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ქართველი მოცეკვავეებიც: ილიკო სუხიშვილი, სერგო ხონიაშვილი, ანტონ ჩიხლაძე, მიხეილ ჩოჩიშვილი და ვლადიმერ ხეთაგური. მოცეკვავეთა გუნდს თან ახლდა მედუდუკეთა ტრიო შახბულაშვილისა და ძმების ზუბიაშვილების შემადგენლობით. მოცეკვავეთა გუნდის სახხალხო ნაწილის ხელმძღვანელი იყო ქართული ქორეოგრაფიის მოამაგე, ღვაწლმოსილი დავით ჯავრიშვილი.

ისინი ლონდონში 18 ივლისს ჩავიდნენ და დაღლილ-დაქანცულები იმ დღესვე გამოვიდნენ „ალბერტ ჰოლის“ სცენაზე. ლონდონელ ინგლისელ ბიჭებს, ალბერტ ჰოლის „ბოიებს“ ეგონათ, ალბათ, ეს ბიჭები ბალეტებს ცეკვავენ, ამიტომ ბევრ ინგლისელ ბიჭს ეგონა